წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. შაბათი, 20 აგვისტო

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ (ცალკე ნომერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ გვ. 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათ ს შემდეგ 5 მან.

**რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.**

№ 432 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 432

შვილები ნინა, ეკატერინე და ნინა ვლადიმერის ასული ბოჭორიშვილები, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ შაბათს 20 აგვისტოს სოფელ ჭყვიშში სამების ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უსაყვარლესი მამის

მღვდლის ვლადიმერ გაბრიელის ძის ბოჭორიშვილის,

სულის მოსახსენებლათ

291 1—1

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 18 აგვისტოდან ახალი პროგრამა. **გომონის ქრონიკა**, მიმდინარე ამბები.

ეს მოხდა გაზაფხულზე.

თანამედროვე დრამა 3 ნაწ. ხანჟონკოვის საზოგ. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

მაკაკის ოინბაზობა.

მხიარული კომედია 2 ნაწ. ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 18 აგვისტოდან ახალი პროგრამა.

მტრის ძალა.

ძლიერი დრამა 4 ნაწილად ბ. იანუშევის, პავლოვის, ტეზარევსკისა და სხვ მონაწილეობით.

**გომონის ჟურნალი.** უკანასკნელი ამბები.

ცეკვისა და სიყვარულის გაკვეთილები. სახუმარო.

**ანონსი: პარასკევს, 19 აგვისტოს 1916 წელს გაიხსნება საზაფხულო თეატრი „ამპირი“. შესანიშნავი ახალი პროგრამა. დაუკრავს სამხედრო მუსიკის ორკესტრი.**

**ალექსანდრეს ქუჩი. „საოჯახო ბაღი“.**

ქ. ქუთაისში, გაღმა უბანში, ბაღის და პოდგორნი ქუჩებში იყიდება ორსართულიანი სახლი 18 ოთახით და დაბლა ექვსი დუქნით. პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე ივანე კარტოზიასთან.

277 12—7

განცხადება.

**ქუთაისის სააზნაურო ქართულ გიმნაზიაში**

თავისუფალი ვაკანსიები არის მხოლოდ მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყოფილებაში.

მისაღები ეგზამენები 22 აგვისტოს დაიწყება, ხოლო ხელმეორე ეგზამენები 28-ს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

285 12—6.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი სნეულებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

რ-3 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ი. **ჩარკვიანი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლვოვსკაია ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.

2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ვილიმოვის მაღაზიის პირდაპირ

განცხადება.

ქ. ქუთაისში, პადიეზდნი ქუჩაზე ქორქოლაძის სახლში, მაქვს ბაკალეინის სავაჭრო პატენტით და ყოველივე მორთულობით. მსურველს გადავცემ იმ პირობით, რა პირობითაც თვითონ ნებავს, ძლიერ ხელსაყრელ ფასებში. მიზეზი გაყიდვისა—ჩემი ჯარში გაწვევა

5-1-292 პატივისცემით ილია ყორყოლიანი.

**საზოგად. „სინათლის“ ქალთა საშუალო სასწავლებელში**

მისაღები და ხელმეორე გამოცდები დანიშნულია 26 და 27 აგვისტოს დილის 8 საათიდან. სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს პარაკლისის შემდეგ, რომელიც დილის ცხრა საათ. იქნება გადახდილი.

288 5—2

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

**უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბი საგან.**

**პეტროგრადი.** 18 აგვისტო. დასავლეთის და კავკასიის ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 18 აგვისტო. მდ. სტოხოდის დასავლეთ ნაპირზე სოფ. გელენინის ჩრდილოეთით მცირე საარტილერიო მომზადების შემდეგ მტერმა ჩვენ პოზიციებს შემოუტია, იერიშები მოვიგერიეთ და მტერი დიდად დავაზიანეთ. კოველის მიმართულებით სოფ. ვოლიცკასთან მტრის ორმა ჰაეროპლანმა იერიში მიიტანა ერთ ჩვენ ჰაეროპლანზე და ჩვენ მიწა-წყალზე ჩამოაგდო. მამაცი მფრინავები პოდპორუჩიკი ტიხომიროვი და შტაბსრავი პორუჩიკი დანილოვიჩი დაიღუპნენ.

**კავკასიის ასპარეზი.**

გუმიშხანეს მიდამოებში ოსმალთა იერიშები მოვიგერიეთ და დიდად დავაზარალეთ მტერი, რომელმაც ჩვენ პოზიციებთან მრავალი მოკლული და დაჭრილი დასტოვა. დიარბექირის მიმართულებით ჩვენი წინსვლა გრძელდება.

ვანის ტბაზე ჩვენმა გემმა მარჯვედ დაუშინა ოსმალთა მცირე ბანაკს სოფ ტუხანთან.

**პარიზი.** 17 აგვისტო. დაგვიანებულია შესწორების გამო.

საღამოს ოფიციალური ცნობა ბალკანეთზე მოქმედებისა. გუშინდელს აქეთ სტრუმაზე საყურადღებო არა მომხდარა რა დოირანის ტბის მიდამოებში და ვარდარის ნაპირებზე საარტილერიო ბრძოლა განცხოველდა. მრზლის საჰაერო ბანაკი მოკავშირეებმა დააქციეს; ტბის დასავლეთით ლუმნიცისკენ მოკავშირეთა წინსვლა გრძელდება; სერბიელები ვეტრენიკისკენ კვლავ წინ მიიწევენ; 1506 სიმაღლისა, ოსტროვოსთან და უფრო სამხრეთით ბულგარელთა ძლიერი იერიშები სერბიელებმა მოიგერიეს და წამოიყვანეს ტყვეები, მათ შორის აფიცრებიცაა. ბულგართა ოფიციალური ცნობანი კვლავ აღნიშნავენ, თავიანთ გამარჯვებას ორივე ფრთაზე, ზღვის მიმართულებით გორიცის სამხრეთით და ფლორინის სამხრეთ დასავლეთით. ნამდვილათ კი ბრძოლების დაწყებიდან ბულგარელებმა საბერძნეთის მიერ მიტოვებული მიწა-წყალი დაიპყრეს. ოსტროვოს ტბის დასავლეთით სერბიელ ჯარის მარცხენა ფრთამ მოწინაალმდეგის წინსვლა შეაჩერა და დიდი ზიანი მიაყენა მას.

**პარიზი.** 17 აგვისტო. ოფიციალური ცნობა ბალკანეთზე მოქმედების შესახებ.

სტრუმა-დოირანის ტბის ხაზზე მოკავშირეები მოწინააღმდეგის გამაგრებულ პოზიციებს მკაცრად უშენდნენ. ვარდარის დასავლეთით ლუმნიცისაკენ მოკავშირეებმა რამდენადმე წინ წაიწიეს. ვეტრენნიკასა და ოსტროვოს მიდამოებში მძაფრი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ბულგართა ერთმა რაზმმა სერბიელთა არტილერიაზე იერიში მიიტანა, მაგრამ დიდად დაზარალებულნი უკუქცეულ იქნენ.

**პარიზი.** 17 აგვისტო. შუადღის ოფიციალური ცნობა მთელ ასპარეზზე ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა ღამის განმავლობაში ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა; მხოლოდ ფლერის აღმოსავლეთით მცირე ბრძოლები მოხდა, რის შემდეგაც ფრანგებმა წინ წაიწიეს. მფრინავთა მოქმედება. ფრენვევრის მიდამოებში მომხდარ საჰაერო ბრძოლის დროს გერმანელთა ჰაეროპლანი ფრანგებმა ძირს ჩამოაგდეს.

**პარიზი.** 17 აგვისტო. საღამოს ოფიციალური ცნობა. მდ. სომმის ასპარეზზე არტილერია საშუალო სიძლიერით მოქმედებდა აქ კვლავ უამინდობაა. რელიონის მიდამოებში გერმანელები ორჯერ ეცადნენ ფრანგთა პოზიციებს დაახლოვებოდენ, მაგრამ ორჯერვე სროლით უკუქცეულ იქნენ.

**ჰავრი.** 17 აგვისტო. ბელგიის ცნობა. ბელგიის ჯარის ბრძოლის პირზე არაფერი საყურადღებო არ მომხდარა.

**ლონდონი.** 17 აგვისტო. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. ამინდი კვლავ ცუდი დგას. ჯარის მოქმედება წვრილი ბრძოლებით განისაზღვრება. გერმანელები ორ ალაგას გილუმონის ახლოს წაწევას აპირებდნენ, მაგრამ მოგერებულ იქნენ. ინგლისელთა ერთმა რაზმმა დანგრეული ფერმა მუკე დაზვერა და უკან დაბრუნდა. ინგლისელებმა მარჯვედ მიიტანეს იერიშები გერმანელთა სანგრებზე ნევილ-სენვაასტენთან, მოწინააღმდეგე დააზარალეს, 8 კაცი ტყვედ წამოიყვანეს და უვნებლად დაბრუნდნენ უკან.

**ამსტერდამი.** 18 აგვისტო. სტამბოლიდან დეპეშით იტყობინებიან ოსმალეთს რუმინეთისთვის ომი გამოუცხადებია.

**ბუქარესტი.** 16 აგვისტო. ბუქარესტზე ცეპელინი დაფრინავდა და ყუმბარები ჩამოყარა, მაგრამ ზარალი სრულიად არ ყოფილა განსაკუთრებულ ზარბაზნების შემწეობით ცეპელინი განდევნილ იქნა.

**ბუქარესტი.** 16 აგვისტო. პრემიერ მინისტრის ბრატიანოს ძმა ვინტილა ბრატიანო სამხედრო მინისტრად დაინიშნა, ხოლო თვით პრემიერი ჯერ-ჯერობით უპორტფელო მინისტრად.

**ბუქარესტი.** 17 აგვისტო. რუმინიის ჯარები ავსტრო-უნგრეთის საზღვარს შეესივნენ. საიმპერატორო რუსის ჯარი დობრუჯისაკენ გაემართა; ხალხი აღფრთოვანებით ხვდება მათ. რუსის ფლოტის ერთეულები კონსტანცაში მივიდნენ და რუმინიას ხელს უწყობენ შავი ზღვის სანაპიროების დაცვაში. ავსტრო-უნგრეთის სამხედრო გემები ვერჩევოს, ტურნსევერინსა და ჟურჟევოს უშენდნენ.

**პარიზი.** 18 აგვისტო. შუა დღის ოფიციალური ცნობა. ასპარეზის უმეტეს ნაწილში ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ლოტარინგიაში გერმანელები მოულოდნელად ფარუსის ტყეს დაეცნენ და სანგრების ნაწილი ხელთ იგდეს. მაგრამ კონტრიერიშით განდევნილ იქნენ.

**ლონდონი** 18 აგვისტო. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. მარტენპუიშის სამხრეთით ინგლისელებმა თავის საომარი ხაზი წინ წასწიეს და ხელთ იგდეს ტყვეები, რომელთა რიცხვიც ჯერ გამორკვეული არ არის. წვრილი ბრძოლების დროს ინგლისელებმა კვლავ დაატყვევეს 38 კაცი ანკრსა და სომმის შუა საკმაოდ ძლიერი საარტილერიო ბრძოლა მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ უამინდობა ამას ხელს ძლიერ უშლიდა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

მდ. სომმის სამხრეთით ფრანგ-გერმანელებს შორის დიდი შეტაკება მომხდარა. როგორც „ბირჟ. ვედ“. იუწყება, გერმანელებს უკან დაუხევიათ.

ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები.

როგორც იუწყებიან რუმინიის ჯარი უკვე შესევია ავსტრიის მიწა-წყალს.

ოსმალები სირიაში დიდ მზადებაში არიან. აქ მათ დიდ ძალ ახალი ჯარისთვის მოუყრიათ თავი.

სალონიკის ბრძოლა თან და თან ფართე ხასიათს ღებულობს. ზოგიერთ სოფლებიდან მცხოვრებნი გარბიან.

ბოსფორთან გერმანიის ჰაეროპლანმა რუსეთის ფლოტილიას ყუმბარები დაუშინა.

12 აგვისტოს ინგლისელების სანაპიროებს კიდევ ესტუმრენ გერმანიის ცეპელინები და სანაპირო სიმაგრეებს დაუშინეს.

იაპონიის პრინცი კანინო 25 აგვისტოს რუსეთში გაემგზავრება.

შერბურგში წყალ-ქვეშა გემ „პუსტავგედეს“ ცეცხლი გაჩენია და დამწვარა.

ფრანგული გაზეთ „ჟურნალი“ ოსმალეთის ასპარეზზე რუსის ჯარის გამარჯვებას დიდი ამბით იხსენიებს და ამბობს, დღეიდან კავკასიის ასპარეზმა პირველი ხარისხოვანი ფრონტის ადგილი დაიჭირაო.

ზემო მაკედონიას უკვე მოედო ბრძოლის ცეცხლი, აქედან ბერძენთა მოსახლეობა სულ გაიხიზნა.

ბერძენთა იმ ჯარმა, რომელიც მთავრობას არ დაემორჩილა და ბულგარელებს შეებრძოლა საერკისკენ დაიხია.

სერბიის პრემიერი მინისტრი პაშიჩი ვენიზელოსთან იყო სადარბაზოდ; მათ შეხვედრას დიპლომატიურ მნიშვნელობას აკუთვნებენ.

რუმინია ავსტრიის შორის ბრძოლა უკვე დაიწყო. ავსტრიელები რუმინიელებს ორშოვიდან მძიმე ზარბაზნებს უშენ, თავის მხრივ რუმინელებიც ავსტრიის საზღვრებს ესვრიან.

პოლონეთის მეფეთ გერმანელებს სტეფანე ტარნოველი დაუსახელებიათ, მაგრამ რადგან იგი ამ ჟამად ავად არის, პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** მდ. სტოხოდის დასავლეთ ნაპირზე რუსებმა გერმანელთა ორი იერიშით მოიგერიეს. კოველის მიმართულებით გერმანელთა მფრინავებმა რუსების ერთი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს და შიგ მხსდომნი დაიღუპნენ.

**კავკასიის ასპარეზი.** გუმიშხანის დასავლეთით რუსებმა ოსმალთა იერიშები მოიგერიეს და მტერი დიდად დაზარალეს დიარბექირის მიმართულებით რუსების წინსვლა გრძელდება.

**დასავლეთის ასპარეზი.** ფართე მოქმედებას კვლავ უამინდობა უშლის ხელს ნევილსენვაასტთან ინგლისელებმა რამდენადმე წინ წაიწიეს ლიტარინგიაში რელიოთან ფრანგებმა ორჯერ მოიგერიეს გერმანელთა იერიშები მაასის მარჯვენა ნაპირზე ფლერის აღმოსავლეთით ფრანგებმა ოდნავ წინ წაიწიეს.

**იტალიის ასპარეზი.** ღირს შესანიშნავი არა მომხდარა რა.

**მაკედონიის ასპარეზი.** სტრუმა დოირანის ტბის ხაზზე სარტილერიო ბრძოლა მდ. ვარდარის დასავლეთით მოკავშირეებმა წინ წაიწიეს ვეტრენიკისა და სტოხოდის მიდამოებში მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა მოკავშირეები ლუმნიცისკენ მიიწევენ სერბიელები ვეტრენიკისკენ წინსვლას განაგრძნობენ.

**რუმინიის ასპარეზი.** რუმინიის ჯარმა ავსტრია—უნგრეთის საზღვარზე იერიში მიიტანა. ავსტრიის სამხედრო გემებმა რუმინიის სანაპიროებს დაუშინა. რუსის ჯარი დობრუჯისაკენ წავიდა, რუსის ფლოტი რუმინიის სანაპიროებს იცავს.

**ოსმალეთმა რუმინიას ომი გამოუცხადა.**

ლონეთის დამოუკიდებლობის საკითხიც ცოტა ხანით გადიდება.

— —

იმ. ვილჰელმს გადაწყვეტილი აქვს პოლონეთი ცალკე სამეფოდ გამოყოს.

— —

„რან. უტრო“ იუწყება ავსტრია-გერმანია პოლონეთის მეფის ახალ კანდიდატათ ლეოპოლდ ბავარიელს ასახელებენ.

— —

რუმინიამ თავის წყლებში მყოფი ავსტრიის გემები დაატუსაღა.

— —

უნგრეთის პარლამენტში დიდი მითქმა მოთქმაა. უნგრელები ითხოვენ, რომ სამხედრო მოქმედება პარლამენტის ზედამხედველობას დაექვემდებაროს.

— —

ამბობენ, ავსტრიაში ერთი მიმდინარეობა წარმოიშვა, რომელიც მოითხოვს პოლონეთ, გალიცია, ავსტრო, უნგრეთის ერთ სახელმწიფოდ გამოცხადებას.

— —

კავკასიის კურორტები სამეფის ნაცვლის განკარგულებაში გადავიდა.

— —

ბულგარეთის და ოსმალეთის ელჩებმა ბუქარესტი დასტოვეს.

— —

„რუსკ სლოვოს“ ცნობით რუმინიის და შეთანხმების სახელმწიფოთ შორის მოლაპარაკება ივლისის ბოლო რიცხვებში დასრულდა. მოლაპარაკებას ხელი მოაწერა ბრატიანუმ. რომელიც შემდეგ მეფესთან წავიდაო,

— —

ცნობილი რუმინელი მარგილომანის ბინაზე რამდენიმე პირი შეუპყრიათ, რომელნიც გერმანიასთან საიდუმლო მიწერ-მოწერას აწარმოებდენ..

— —

საფრანგეთის ასპარეზზე დაღუპული, პრინცი მორატი იმპერატორ ნაპოლეონის პირდაპირი ჩამომავალი ყოფილა.

— —

პაპმა ისპანიის მთავრობას ნება მისცა, რომ მან გამოარკვიოს გერმანელების სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებანი, რომელთაც მას შეთანხმების სახელმწიფონი აბრალებენ.

— —

მოკავშირეთა ფლოტმა, რომელიც 60 გემისგან შესდგებოდა ოსმალეთის სანაპიროებს შაკრი-იაფისთან სროლა აუტეხა.

— —

პროფესორ ოზეროვის აზრით ომი ბოლოს უახლოვდება, რაც მეტად დააჩქარა რუმინიის გამოსვლამო.

— —

ვილჰელმი საბერძნეთის მეფეს ტელეგრაფით ატყობინებს, რომ შენი მიწა წყალი ხელ უხლებელი იქნებაო.

— —

უნგრეთის პარლამენტარიები და ოპოზიცია მთავარ საკითხების გიდაწყვეტაში შეთანხმებულან.

— —

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ რუმინიის მიერ გერმანიისადმი ომის გამოცხადება ბერლინის მთავრობისთვის სრულიად მოულოდნელი იყოო.

— —

ავსტრო გერმანიამ გადასწყვიტეს რუსეთის პოლონეთში საჩქაროდ მოახდინონ განზრახული რეფორმები.

— —

ბუქარესტში უკვე ჩავიდა რუსეთის ჯარის სარდალი, რომელიც რუმინიის საზღვრებში მომქმედ რუსის ჯარს გაუწევს ხელმძღვანელობას.

— —

რუმინიაში საალყო წესები გამოცხადდა.

## ომის მიმოხილვა.

იწყება საშემოდგომო კომპანია.

მიუხედავად, იმისა, რომ ორი წლის სისხლის ღვრამ საშინლად არივ-დარია, გაალატაკა და გააძნელა მებრძოლ სახელმწიფოთა ყოველ მხრივ ცხოვრება ომის მოტრფიალენი გულს არ იტეხენ და ალექსანდრე მაკედონელსავით იძახიან. „დღეს თუ ჩვენმა ლაშქარმა უკან დაიხია, ხვალ იმედია სულ წინ წავალთო.

მართლაც, სამწუხაროდ, დღეს-დღეობით ხალხის ამ უსაშინლეს ტანჯვის ბოლო არსად სჩანს.

და ამ რიგად ისევ იმ მოსაზრებას უნდა დავემყაროთ, რომ „ზავის ჩამოგდება“ მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლის ველმა უნდა გამოსჭედოს.

ბრძოლის ველის დღევანდელი მოხაზულობა კი, არა თუ ბრძოლის დაცხრომის ნიშანს იძლევა, არამედ უფრო გაღვივებისას, და გაფართოვებისას. მაგ ზოგიერთი სამეფოები ახლა გამოდიან ბრძოლის ველზე (რუმინია), რომელთა დასვენებული ჯარი მსოფლიოს საშინელ სამსხვერპლოს ალს კარგა ხანს არ ჩააქრობს.

ბრძოლის ველზე დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით არც დიდი კითხვის დაახლოვებით გამოცნობა შეიძლება თუ ვის ერგება გამარჯვება.

ცენტრალურ სახელმწიფოებს, თუ ოთხთა შეთანხმებისას, რომელთაც დღეს რუმინიაც მიემხრო?

და თითოეულმა გამარჯვებისთვის სისხლის მღვრელმა სახელმწიფომ ისევ ფელდმარშალ ჰინდენბურგის სიტყვები უნდა განიმეოროს, რომ „გამარჯვება იმისკენ იქნება, ვისაც უმაგრესი ნერვები აქვსო“.

რაც შეეხება 1916 წ. კომპანიის უმთავრეს შედეგებს, ამ კომპანიაში ომის ღმერთი, თითქმის ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთა მხარეზეა

თუ გასული წლის ამ დროს გერმანიის კავშირი იყო ძლევა მოსილი და ბელგია, პოლონეთ-სერბია—მთაშავეთის დამხობის შემდეგ ვერდენის დასამხობად მიექანებოდენ, წელს მდგომარეობა შეიცვალა.

ყველასათვის ცნობილია, რომ გერმანია იმარჯვებდა მხოლოდ თავის შესანიშნავ ორგანიზაციების წყალობით, შეთანხმების სახელმწიფონი მასთან საბრძოლად სრულიად უორგანიზაციოდ გამოვიდენ. მართალია ჰყავდათ დიდი ცოცხალი ძალა, რომელიც გერმანიისას რამდენჯერმე სჭარბობდა და სჭარბობს, მაგრამ საქმე რიცხვში კი არაა, არამედ ამ ძალის ღირსება მოწყობაშია.

ამის გამო შეთანხმების უთვალავი ჯარები უმეტეს წილად მოგერიების ტაქტიკას ადგენ და ან, თუ შეტევის გზას დაადგებოდენ ხოლმე, ეს შეტევა ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა.

ვის არ ახსოვს კარპატების კატასტროფა, დარდანელთან იმდენი ხალხის ჩაწყვეტა და ბოლოს მისი სრული ლიკვიდაცია.

მაგრამ გზა და გზა შეთანხმების სახელმწიფონი გამოირკვენ, შექმნეს საერთო სამოქმედო ორგანიზაცია და დღეს ლამის არის ბრძოლის ინიციატივა ხელში ჩაიგდონ.

მართლაც ბრძოლის ყველა ასპარეზზე ამ ხანად არსებული მდგომარეობა მათდა სანუგეშოა.

დღეს თითქმის ყველა ასპარეზებზე საშინელი ბრძოლა ტრიალებს და მათი დაახლოვებით სახეც ასეთია:

რუსეთის ასპარეზზე გალიციის შეტევები ფეხდაფეხ გამარჯვებებით დააგვირგვინა სარდალმა ბრუსილოვმა და ამ ჟამად ლვოვ-კოველზე [illegible] შესვენებას ეწევა.

რიგა დვინის ფრონტზე გერმანელების შემოტევებმა ჯერ ხანობით გადამწყვეტი ვერაფერი მოიტანა და ქალაქ—სიმაგრეები ისევ შეურყევლად სდგას.

კავკასიის ასპარეზზეც რუსთა ჯარი არაჩვეულებრივ მიდის წინ, და თანდათან ოსმალეთის უმთავრეს პუნქტებს უახლოვდება. ამავე დროს გაცხოველდა და მეორე ხარისხოვან ფრონტის ადგილი დაიჭირა ბალკანეთის ბრძოლამ სადაც შეთანხმების სახელმწიფონი საერთო შეტევას აწარმოებენ.

აქ უმთავრესად იბრძვიან ბულგარელები და ჯერჯერობით ერთდროულ გამარჯვებაც მათ მხარეზეა, მაგრამ რუმინიის გამოსვლა დიდათ შეაფერხებს მის საქმეს.

ფრანგების დიდი საშიში ადგილი ვერდენი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, რადგან ამჟამად გერმანიამ იქიდან ჯარები გამოიყვანა.

ინგლის-გერმანელების ასპარეზის უმთავრესი ფრონტი, მდ. სომმაზე, ჯერ გამოურკვეველია.

თუმცა ინგლისელები აურაცხელ მსხვერპლის გაღების შემდეგ წინ მიიწევენ, მაგრამ აქ გერმანიას წინანდელი პოზიციები ისევ ხელთ უპყრია.

აღსანიშნავია, აგრეთვე ის მოვლენა, რომ დაპყრობილ სერბებს, მთაშაველებს ალბანელებს და ბელგებს პარტიზანული ომი დაუწყიათ გერმანიის და მის მომხრეთა წინააღმდეგ. აქ უნდა მიემატოს კიდევ ის საყურადღებო გარემოება, რომ გერმანიის კავშირის წინააღმდეგ ახლახან გამოვიდა რუმინია, რომელსაც 900000 კარგად გაწვრთნილი ჯარი ჰყავს.

თუმცა გერმანელებს ჯერ ხელთ უპყრია ის ადგილები, რომელიც მან ომის პირველ ხანებში დაიპყრო, მაგრამ, დღეს როგორცა ვთქვით, მისი ბრძოლის ველზე მდგომარეობამ მეტად არა სასურველად ფერი იცვალა და რიგ-რიგ გამარჯვებათა მაგივრად გადავიდა მოგერიებითი ბრძოლაზე და ხშირად დამარცხებაზეც. დანარჩენი შემდეგ.

ი. იმერელი.

# ქრისტე.

მისს მოყვარულე-მოცისკროვნე სულს მოსწყინდა სევდა ამ ქვეყნიური;
შევიდა ბაღსა გეთსიმანიის, აღმოხდა ლოცვა წმიდა, ციური:

„მამაო ჩემო,—გასმის ბაღში,—წმიდაო მამავ! შენ გევედრები...
და ნელა ჰსუნთქავს საღამოს ჩრდილი, ნელა ირხევა შავი ვერხვები...

—ამცდეს ეს ხვედრი... ნაღველი მავსებს... დრო ახლოვდება და მენანება..
მაგრამ ვით შენ გსურს, მამაო ჩემო, აღსრულდეს შენი სურვილი,-ნები“...

წმიდა რამ შუქი ჰმოსავს მის სახეს, შესცქერის ზეცას ხელ აღპყრობილი
და უხმობს სული სულიერ მამას, სული მიწიერ დარდით პყრობილი...

და ღამის ჩრდილი ოდნავ ირხევა, ოდნავ შრიალებს შავი კედრები
და ისმის ბაღში მხურვალე ლოცვა:—„მამაოჩემო! შენ გევედრები!“.

გრძნობს მაცხოვარი თუ ვით სრულდება წინასწარმეტყველთ ნათქვამი წინად.
თუ ხვალ მას როგორ განამზადებენ ბრბოს გასაკაცხად, ბრბოს დასაცინად.

გრძნობს მაცხოვარი და თავის ნებით ქვეყნის სახსნელად სიცოცხლეს სწირავს,
ხოლო საყვარელ მის სამ მოწაფეს იქვე, მახლობლად, მშვიდადა სძინავს.

— —

და ეტყვის ქრისტე თვის მოწაფეთა: „დრო ახლოვდება, ისმის ხმაური.
გეთსიმანიის ბაღნარს ანათებს კანდელთა შუქი უხვი, ზღვაური—

—განიღვიძენით—განა არ გესმით, ირგვლივ, ჩოჩქოლი, აურ ზაური?
მე დამეძებენ. ჰა მოდის იგი, ვინაც ამბორით გაჰყიდის „რავვი“-ს
და შემიპყრობენ, მაგრამ გეტყვით თქვენ, ხელი არ ახლოთ იქ მყოფთ არავის...

სრულდება ნება მამისა ჩემის წინასწარმეტყველთ ნათქვამი ძველად
ჯვარს მაცმენ მაღლე ფარისეველნი, მაგრამ აღვსდგები ქვეყნის სახსნელად....

— —

ქრისტე შეიპყრეს . ქრისტე ჯვარს აცვეს და ინეტარეს მისი სიკვდილით,
მაგრამ—უკვდავი—მაგდალინელსა გამოეცხადა მესამე დილით

და ლალად ჰყობდა: ნუ გეშინიან, ცრემლებს ნუ ღვრიდე სასოწარკვეთით
ეტყოდე პეტრეს და მოციქულთა, რომ მე უკვდავ ვარ, რომ ავლსდეგ მკვდრეთით“

და დაუმშვიდდა მარიამს გული, დაწყლულებული, დაჭრილ-ვნებული
და შემდეგ არა ერთხელ უნახავთ მოწაფეთ ქრისტე მოვლინებული...

და ამბავს ამას, ამბავს საკვირველს ჰფენდნენ ყოველი ქვეყნის ზღვა—ხმელსა,
და კრულვა-წყევით იხსენიებდნენ ისკარიოტის შავბნელ სახელსა!

გ. მეგრელიშვილი.

## სქესობრივი სამიებელი.

ამ სამიებელშიაც, როგორც ყველაფერში, არის ნაწილი უპირობო, ყოვლადი, და პირობითი დროჲსა და გარემოების შესაბამი.

ჯერ პირველ ნაწილს შევეხები სქესობრივი ალღოსთანა უძლიერესი არა არის—რა

გარეული ირმებისა, დორებისა, ცხენებისა, კამბეჩებისა და სხ. მამლები დედლებს მისასაკუთრებლად ერთმანეთსა ხოცვენ და, საზოგადოდ, ჯოგებს გამარჯვებულები დაეპატრონებიან ხოლმე

ვის არ უყურებია ულაყი ცხენების, მამლების, ძაღლების და სხ ჩხუბი, რომელსაც უმთავრესად სქესობრივი ალღო უდევს სარჩულად?

ყველაზე უფრო სოციალური, ე. ი. თანამეჯოგე, ცხოველთა მეფე—ადამიანია მასში სქესობრივსა და სოციალურს ანუ თანამეჯოგეობის ალღოს შორის ერთგვარი წონასწორობაა დამყარებული

მამაკაცები რომ დედაკაცებისთვის ერთმანეთს სასიკვდილოდ ებრძოდენ, მაშინ ადამიანთა განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა და მათ მხეცები მოერეოდენ და მოსპობდენ.

ამგვარად საზოგადოებრივმა აუცილებლობამ შექმნა ის ზოგადი, სოციალური, თანამეჯოგეობის ალღო, რომლის წყალობითაც მამაკაცთა ერთად შეკრება და თანამშრომლობაც შესაძლებელია

მაგრა სქესობრივი ალღო ადამიანშიაც მეტად ძლიერია და აქედან როგორც ბევრი კარგი, აგრეთვე საშიშარი შედეგი იშობება. თუ კი ბევრია ღორმუცელა და ღვინის მონა, სქესობრივი გრძნობიერობით შეპყრობილი, ე. ი ლირწი და მრუში, კიდევ მეტია.

გარყვნილება განათვისებდა ადამიანთა პირველყოფილ მდგომარეობასა და გარყვნილებავე განათვისებს საზოგადოების უმაღლესი განვითარების, განათლების, ანუ ცივილიზაციის, ხანას.

ძველ მონარქიებში უმაღლესი წოდებანი, სიმდიდრესა და ბატონობას რომ მოიპოებდენ, გარყვნილებაში ჩაიჭრებოდენ ხოლმე, სულ ერთია, სასულიერო იქნებოდა თუ საერო გაბატონებული წრე. ვინ არ იცის, მაგალითად, რომ ეგრეთ-წოდებული ჰუმანიზმის დროს იტალიაში პაპის სასახლეს ვერცერთი საერო მთავრის სასახლე ვერ შეედრებოდა ამ მხრით.

გარყვნილებას კი თან მოსდევს გადაგვარება—სხეულებრივი და პოლიტიკური.

გარყვნილებამ დაღუპა ძველი მონარქიების სამეფო გვარები, რომელთა დაკემამ მათ მიერ პყრობილი სახელმწიფოებიც თან დაიტანა.

გარყვნილებამ დაღუპა ძველი რომი და ღუპავს ახლანდელ ცივილიზაციას.

საშინელებას წარმოადგენენ პარიზისა, პეტროგრადისა და სხვა დიდი ცენტრების გარყვნილების ბუნაგები. საშინელებაა აგრეთვე გარყვნილება, რომელსაც მდიდართა სასახლეებში დაუსადგურებია.

ადამიანი თავისი სქესობრივი გულისთქმის მსხვერპლად გამხდარა და მის სულსა და ხორცს სქესობრივი უკუღმართობა და უზომობა უფრო ხოწნის, ვიდრე დამასნეულებელი მიკრობები!

მაგრამ რით, რა საშუალებით შეგვიძლია ვებრძოლოთ ამ საშინელებას, რომელიც კაცობრიობას გადაგვარებისაკენ მიაქანებს?

ასკეტობა სალოსობა, სქესობრივი მოთხოვნილების სრული უარყოფა ვიქადაგოთ? მაგრამ, როგორც სამართლიანად ამბობდა ჰეინე, ამგვარი ქადაგება ვერ გასჭრის: ადამიანი ხორციელობაზე ხელხს ვერ აიღებს.

და, მართლაც, ასკეტობამ, განდეგილობამ, კიდევ უფრო განაძლიერა გარყვნილება: ისტორია ამის დამამტკიცებელი მაგალითებით სავსეა.

რა ფიზიოლოგიური მიზეზისაგან იშობება გარყვნილების მავნებლობა? რა არის გარყვნილება?

გარყვნილება ის არის, როდესაც კაცი ნორმალურს, წესიერს, საღ ცხოვრებას გადასცილებია და მისი ოცნება, ფანტაზია, ლირწი სქესობრივი წარმოდგენით შეპყრობილა. გარყვნილება უმთავრესად —ფიქრის, ფანტაზიის, ოცნების გაფუჭებაა. გარყვნილ კაცს დღისით და ღამით, დღეს და ხვალ მუდამ სქესობრივს, ლირწებრივი სურათები ელანდება და უდგია თვალ წინ.

მეორე მხრით, თავის ტვინის ამგვარი აღგზნება, აღწადება, სისხლს აგუბებს და ნერვებს ასნეულებს (ტვინის ჰიპერემია). აქედან კი მთელი სხეულის ადმყოფობა და უძლურება იშობება.

ვაი მას, ვინც გარყვნილია!

მაშასადამე, უნდა ვეცადოთ. რომ ახალთაობას ფანტაზია (ოცნება) არ გაუფუჭდეს, არ გაერყვნას, ლირწება თავიდან ავაშოროთ.

როგორ? რა გზით? როგორცა ვთქვით, სალოსობა განდეგილობა, პირიქით შობს გარყვნილებას. მეორე მხრით, ორგიებსაც იგივე შედეგი მოსდევს.

რა არის ორგია? ეს წრეგადასული, არა ნორმალური, უწესო სქესობრივი ცხოვრებაა, სქესობრივი სიმთვრალეა. ორგიასტი—სქესობრიობის ლოთია. და, რადგან ორი უკიდურესობა ყოველთვის ერთად იყრის თავს, ორგია ფანტაზიას იმგვარადვე რყვნის, როგორცა სალოსობა. ანუ განდეგილობა.

აქედან უნდა წარმოვიდგინოთ, რამდენად გარყვნილია ჩვენი „ცისფერი ყანწების“ ლიტერატურა, რომელიც ორგიას ჰქადაგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსული პრესიდან.

### ბ. ვოლჟინის დათხოვნა.

როგორც თანდათან ირკვევა, უწმინდეს სინოდში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ვოლჟინი გამოდიოდა. ობერ პროკურორის ასეთი ყალბი შეხედულობა მიტროპოლიტ პიტირიმს ანუ ნამში არ მოსდიოდა და ყოველ ღონეს ხმარობდა ობერ პროკურორისათვის ჩვენი ეკლესიის თავისუფლების შესახებ, ყალბი აზრები შეეცვლევინებია. ამ მიზნის მისაღწევად ართად ერთი საშვალება ის იყო რომ ბ. ობერპროკურორი თავის თვალით დარწმუნებულიყო ივერიის ეკლესიის საჭიროების სინამდვილეში ამისათვის საჭირო შეიქნა ობერ პროკურორი პეტრეს ქალაქიდან საქართველოსაკენ გამომგზავრებულიყო.

რუსულმა პრესამ თავდაპირველად ობერპროკურორის მოგზაურობას საფუძვლად ახლად შემოერთებულის ტრაპიზონის სამიტრო პოლიტო საქმეების მოწესრიგება დაუდვა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს. როდესაც ამ საქმის შესახებ ქართული პრესა ახმაურდა, რუსულმა პრესამ მხოლოდ მაშინ გამოსცქვიტა ყურები და ისიც კანტი კუნტად.

საქართველოში ჩამობრძანებისას, ბ-ნი ვოლჟინი ნაცვლად იმისა, რომ ივერიის ეკლესიის ძირითად საჭიროებას დაწვრილებით გასცნობოდა, მიტროპოლიტ პიტირიმის ჩვენში მოღვაწეობის „კრიტიკას“ შეუდგა და მის მოქმედებაში ეჭვები შეიტანა. ამ ასპარეზზე, პირველ ყოვლისა, ჯერ დაუბადებელ ქუთაისის სასულიერო სემინარიას ეცა და მისი დასამარება მოინდომა... ავტოკეფალიის შესახებ, რისთვისაც წამოსული იყო, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, არავის არაფერი არ მოუსმინე და ისე წავიდა თბილისიდან.

პეტრეს ქალაქში დაბრუნებისთანავე, როგორც „რუს. სლ.“ გადმოგვცემს მანისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ. შტიურმერს მოხსენება წარუდგინა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ჯერ ნაადრევიაო. ამის შემდეგ რაღა იმედი უნდა ჰქონებოდა მიტროპოლიტ პიტირიმს ჩვენი მრავალტანჯული ეკლესიის საკითხში და იმდენი მაინც მოახერხა, რომ ბ. ვოლჟინი სამსახურიდან გადააყენეს *)

ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, ეხლანდელი ობერპროკურორის დათხოვნა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მკვდრეთით აღდგომის მომასწავებელია და ქართველერს, განსაკუთრებით წოდებისა და მიმართულებისა, მართებს გაორკეცებული ენერგიით შეუდგეს იმ საქმის განხორციელებას, რომელი საქმის გულისთვისაც ირაკლი დიდმა საქართველოს პატივი და დიდება დიდ უზარ მაზარ რუსეთს მიანდო.

მ. ბ.

*) ჩვენ კი გვგონია, რომ უმაღლესს ბიუროკრატიულ და მოხელეთა დამცირება—ამაღლება რუსეთის ცხოვრების ერთგვარ საიდუმლებას შეადგენს და ძნელი სათქმელიც არის, ვინ ვის აძევებს ხოლმე.

შეიძლება ბ-ნი მ. ბ. მართალიც იყოს.

რედ.

## ახალი ამბავი.

—

დანიშვნა. საოლქო სასამართლოს თავჯდომარე ბ. ა. ნიკოლოზის ძე ნიკიტინი უკვე შეუდგა თავის თანამდებობის შესრულებას. ბ. ნიკიტინი დანიშნულია წასულ ნ. ფედოროვის მაგიერ.

✦ მასწავლებელთა შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო ბ. იგნატიევის ცირკულიარმა, რომელშიაც აღნიშნული იყო რომ სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებული იქნება მხოლოთ რამდენიმე კატეგორია სახალხო მასწავლებლისაო მასწავლებელთა წრეებში დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია. ცირკულიარზე ბევრი იმედებს ამყარებდენ და მინისტრთანაც კი გზავნიდნენ შეკითხვებს, რათა გარკვევით განემარტათ, საქმის ვითარება. ეხლა ხან გრაფ. იგნატიევმა ახალი ცირკულიარით მიმართა ოლქის მზრუნველებს, რომელშიაც აცხადებს, რომ—აღნიშნული ცირკულიარი 1916 წლის 21 აგვისტოდან 5491№-რით შესახებ შეღავათის მიცემისა, ეხება მხოლოთ იმ პირველ დაწყებითი შკოლებს, რომელნიც შეტანილი არიან საერთო საშკოლო ცხრილში. ამასთანვე მინისტრი აცხადებს, რომ ამ შეღავათით ვერ ისარგებლებენ კერძო შკოლების მასწავლებლები.

✦ ერევნის გრენადერთა პოლკის პრაპორშჩიკებს თ—დთ ს. ერისთავს და სილ ანდრონიკაშვილს ბრძოლის ველზე ვაჟკაცობის გამოჩენისთვის პორუჩიკის ჩინები ებოძათ.

✦ ამ ჟამად თბილისში იმყოფება ჩვენი თანამემამულე პროფესორი ა. ა. ცაგარელი

✦ ხოლერით ავადმყოფთა რიცხვი თბილისში ყველა ლაზარეთებში 60 მდე ყოფილა.

✦ ხოლერის გაჩენა. რადგანაც თბილისში ხოლერა თანდათან ვრცელდება და მოსალოდნელია რომ ქუთაისშიაც გაჩნდეს ქუთაისის სანიტარულმა ექიმმა მაჭავარიანმა მიმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, დანიშნულ იქნეს საბჭოს სხდომა ხოლერის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლათ ქალაქ ქუთაისში. სხდომა მოხდება ამ დღეებში.

✦ ეკონომიური მოთხოვნილებანი. კაფე „სამოთხეს“ მსახურებმა ეკონომიური მოთხოვნილებანი წარუდგინეს სარძეოს პატრონს, რის გამოც ეს ორი დღეა კაფე დაკეტილია. მსახურებმა აგრეთვე მიმართეს თხოვნით ქუთაისის გუბერნატორს, სადაც აცხადებენ, რომ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ასე სამსახურიო.

✦ სანიტარული კომისია. გუშინ სანიტარულმა კომისიამ დაიარა ქალაქის უბნები და ბევრ ვაჭარსა და სახლის პატრონს გაფრთხილება მისცა სადგომების არა სანიტრულ მდგომარეობის გამო.

✦ ხოლერა. გუშინ დილით სასტუმრო „როსია“ში უეცრათ გარდაიცვალა ლევან გოცირიძე. ექიმებმა აღმოაჩინეს ხოლერის ნიშნები და განსვენებული ბარაკში მოათავსეს.

✦ ჩხრეკა და დაპატიმრება თბილისში 17 აგვისტოს თბილისის ზოგიერთ უბნებში ჩხრეკა ყოფილა, სადაც დაუპატიმრებიათ რამდენიმე ქართველი. ვ. ჯუღელი. ს. ქავთარაძე, სიო კალანდაძე და სხვანი.

✦ მეწაღეთა თხოვნა. თითქმის ყველა ქუთაისის მეწაღემ მიმართა ბ ქუთაისის გუბერნატორს კოლექტიური თხოვნით. თხოვნაში მოხელეები აღწერენ დღევანდელის პირობებისაგან გამოწვეულ სიძვირეს და აღნიშნავენ, რომ მიეცეს მათ ნება იმ ფასში აკეთონ წაღები და სხ. ფეხსაცმელები, როგორითაც ისინი მოურიგდებიან მყიდველს და არა ნიხრის წესით. მეწაღენი აღნიშნავენ აგრეთვე რომ მათ უხდებათ მასალის ყიდვა სამჯერ მეტ ფასში ვინემ აქამდე ყიდულობდენ.

✦ გუშინ, 19 აგვისტოს სახალხო შკოლების დირექტორი ბ. ვიშნევსკი ბათუმს გა,მგზავრა.

✦ რევიზია. ამ მოკლე, ხანში ადგილობრივ სასწავლებლებში მოელიან თფილისიდან რევიზიას ბ. სლოვინსკისა და ლარიონოვის მოადგილის კონტენკოს მიერ.

✦ სამუსიკო სასწავლებელი. თავისუფალ მხატვარს ე. ს. გზეგორჩიკს ქუთაისის გუბერნატორმა ნება მისცა გახსნას მუსიკალური შკოლა.

✦ სასულიერო სემინარიებში. უწმიდეს სინოდში აღიძრა საკითხი შესახებ სასულიერო სემინარიებში პროგრამის გამოცვლის გამოითქვა სურვილი, რომ სემინარიის პროგრამა დაუახლოვდეს საერო სასწავლებლების პროგრამას და იმ მოწაფეებს, რომელთაც სემინარიის გათავების შემდეგ საერო სასწავლებელში წასვლა სურს, ნება მიეცეს არ შეისწავლოს სპეციალური სადვთისმეტყველო საგნები.

✦ ახალი გეგმა. სახალხო განათლების სამინისტროში მრავალ პირთა და ორგანიზაციათა შუამდგომლობის გამო გადაწყვიტეს შეიცვალოს საშკოლო პროგრამა ისტორიისა საშუალო სასწავლებლებში. ეს პროგრამა შემუშავებული იყო 1913 1914 წ. განსვენებულ კასოს მიერ მინისტრმა იგნატიევმა ცირკულიარით მამართა საშუალო სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოებს და გამგეებს, რომ 1916—17 სამოსწავლო წელს მათ იხელმძღვანელონ ახალი კანონით, რომელიც უკვე დამტკიცებულია იგნატიევის მიერ. ამ გეგმის მიხედვით მეშვიდე კლასში ისტორიას მიემატება ერთი გაკვეთილი, და მეორე კლასში სამის მაგიერ დარჩება ერთი გაკვეთილი. მინისტრი განმარტებს, რომ ისტორიის შესწავლას საფუძვლად სამშობლო ისტორია უნდა დაედვასო.

✦ ოზურგეთის სამაზრო კომიტეტმა შეღავათი მისცა ჯარში გასაწვევ მოსამსახურეთ: საქველმოქმედო. საზოგადოების ბათომის განყოფილების დაწესებულებებს; ოზურგეთის მაზრის კოოპერატივების მოსამსახურეებს; ქალაქთა კავშირის კომიტეტის მოსამსახურეებს და სხვა.

✦ თავშესაფარი-სახელოსნო შრომის უნარ დაკარგულ მეომართათვის. ომიანობისაგან დაზარალებულთა დამხმარე სასულიერო კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს ეგსარხოსი პლატონი, ამ მოკლე ხანში ტფილისში თავშესაფარ-სახელოსნოს აარსებს იმ მეომართათვის რომელთაც შრომის უნარი დაჰკარგეს ამ ომიანობის დროს. ასეთ მეომრებს ასწავლიან თერძობას, მეჩექმეობას და სხვა ხელობებს. თავშესაფარ სახელოსნოში მიიღებენ ყველა მსურველს ტფილისის გუბერნიიდან.

✦ მკვლელობა. ხუთშაბათს, $7^{1}/_{2}$ საათზე ბოროტგამზრახველებმა მოკლეს ისხაკ აბრამის ძე ელიგულაშვილი.

✦ ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ ქალაქის გამგეობის ყურადღება იმ გარემოებას რომ კაზაკოვის ქუჩა არასოდეს არ ნათდება და მუდამ ბნელეთით მოცულია: გზაზე ღამით სიარული ყოვლათ შეუძლებელია მცხოვრებლების სურვილია დაიდგას სანათიან ან სამაზრო სამმართველოსთან ან ხმალაძის სახლთან.

---

ამგვარად, მეცნიერება უარყოფს, როგორც ასკეტობას, განდეგილობას, აგრეთვე სქესობრივ ორგიას, რადგან ორსავე გამრყვნელი მნიშვნელობა აქვს.

როგორია ნორმალური, წესიერი ცხოვრება? უპირველესად ხორციელი მოთხოვნილება აღსარებული, შეწყნარებული, კმაყოფილი უნა იყოს. მაგრამ იმავე დროს უზომობა განსაკუთრებით სქესობრივ ცხოვრებაში განმანადგურებელი და გამათახსირებელია. არც ასკეტობა, არც ორგია — აი ნორმალური, წესიერი, რიგიანი ცხოვრების ფორმულა. და საზოგადოება, თუ სურს, მხნე და მოქმედი ახალთაობა აღზარდოს, ორსავე უკიდურესობას უნდა შეებრძოლოს.

სამწუხაროდ, საზოგადოება ამ დიდ საკითხს ყურს არ უგდებს და მშობლები თავის შვილებს ზნეობის დაცვისათვის ნაკლებად ზრუნავენ. ამიტომ, ჩვენი ახალგაზდები ან ასკეტები არიან ან ორგიებში იხრჩობიან. და ცოტაა ისეთი, ვინც ნორმალურად, წესიერად ცხოვრობს.

და, უეჭველია, ჩვენში რომ სტუდენტების უცოლობა წესად არის, დიდი დანაშაულობაა ახალთაობის წინაშე. მშობლები ამ მძიმე საკითხს მხოლოდ ქონებრივი თვალთახედვით სწყვეტენ ფიქრობენ: ჩვენმა შვილებმა ჯერ უმაღლესი სწავლა დაასრულონ, დიპლომები ჩაიბარონ და თფილი ადგილები იშოვონ, მერე კი, როგორც უნდათ, ისე მოიქცენო.

ცალმხრივი ზრუნვაა, რომელიც არ მიეტევებიათ! ეს იმას ნიშნავნავს, რომ ისურვონ: დეე, ჩვენი შვილები ჯერ გაირყვნან და შემდეგ ახალ ცხოვრებას შეუდგენო. მაგრამ გარყვნილებისაგან დაუძლურებული კაცი ცხოვრებისათვის როგორ ღა გამოდგება!

დიაღ, თუ გვსურს, გვყავდეს მოქმედი, ენერგიული თაობა, უპირველესად მას გარყვნილება უნდა ავაშოროთ თავიდან და, მაშასადამე, უნდა განვათავისუფლოთ, როგორც ასკეტობისა, აგრეთვე ორგიებისაგან.

ახალგაზდებო! იყოს თქვენი ოცნება თავისუფალი ყოვლისავე ბიწიერი სქესობრივი წარმოდგენისაგან, როგორც ახალი თოვლი მტვერისაგან! და იყოს თქვენი ძილი უმანკო, როგორც ძილი ბავშისა, და მღვიძარება მოქმედი და ნაყოფიერი!

მაგრამ სქესობრივი ურთიერთობა სოციალურს, საზოგადოებრივ პირობებთან გადაბმულია და ეს გარემოება სიყვარულის თავისუფლებას ზღუდავს.

სიყვარულის უპირობო თავისუფლების აღმსარებელთ ავიწყდებათ, რომ უპირობო არა არის-რა და მაშასადამე, ფალკისებური საქციელი არაოდეს შეწყნარებული არ იქნება.

არა არს უფლება თვინიერ მოვალეობისა და ის, ვისაც სურს, სიყვარულის გემო იხილოს, მოვალეა სიყვარულის ნაყოფიც იგემოს.

რამდენადაც ადვილია შევყარება, იმდენად ძნელია ჩამომავლობის აღზრდა.

და ფალკის დანაშაული სწორედ ის არის, რომ უარყოფს თავის ვალს თავისის საკუთარი ჩამომავლობის წინაშე.

დიაღ! მარტო დედაკაცი ვერ იქნება და არც უნდა იყოს პასუხისმგებელი ჩამომავლობის აღზრდის საქმეში ამიტომ ფალკს უპირველესად დედაკაცები უცხადებენ პროტესტს.

გვეტყვიან: ახალთაობა საზოგაოოებამ უნდა აღზარდოსო მაგრამ ამ თქმას არავითარი საფუძველი არ აქვს: ახალთაობას აღზრდას საზოგადოება მხოლოდ მაშინ შესძლებდა, კომუნიზმი რომ განხორციელებული ყოფილიყო. დღევანდელ საზოგადოებაში კი, რომელსაც საფუძვლად კერძო საკუთრება უდევს, ეს მოვალეობა მხოლოდ თანამედროვე ოჯახს აქვს დაკისრებული.

აქედან იშობება ცოლ ქმრის კავშირი.

რასაკვირველია, მდიდრებს შეუძლიათ არ დაემორჩილონ ამ სოციალურს, საზოგადოებრივ კანონს და თავისი შვილების აღზრდა რომელსამე პანსიონს მიანდონ. მაგრამ ფართო საზოგადოებამ ახალთაობის აღსაზრდელად ძალაუნებურად უნდა დაიცვას ოჯახი, ე. ი. ცოლქმრული კავშირი. იმას კი, ვინ ადასტურებს ამ კავშირს, საეკლესიო თუ სამოქალაქო კანონი, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

ერთი სიტყვით, ვისაც აქვს თვალნი ხედვად და ყურნი სმენად, კარგად იცის, რომ საზოგადოება მხოლოდ ოჯახებში შენდება და ნაყოფიერობს, თავისუფალი სიყვარული კი უნაყოფოა. და მასასადამე, ვინც სიყვარულის უსაზღვრო თავისუფლებასა და ორგიებს ჰქადაგებს, ის ჩვენს ისედაც მცირე ერს გადაშენების გზაზე აყენებს.

მაშ როგორ უნდა გადავსჭრათ სქესობრივი საკითხი? აი როგორ: თვითეული პირი, რაც შეიძლება, ადრე უნდა მოეკიდოს ოჯახს.

ეს რომ ჩვეულებად შემოვიდოდეს, ჩვენი ერი გადაშენების გზას ასცდება და გამრავლების გზას დაადგება.

სამწუხაროდ, ძველი კარგი წესი და ადათი შეიცვალა. ვიდრე სალდათობა შემოვიდოდა, მიწისმუშა ადრე ცოლშვილიანდებოდა და ხალხი, საერთოდ, ტანმთელი იყო დღეს კი აღარავინ, ვიდრე სალდათობას არ მოიხდის, ცოლს აღარ ირთავს. ჯერ ირყვნება და შემდეგ მრავლობს!

დროა, ხალხი ძველს კარგ ჩვეულებას დაუბრუნდეს. ჯერ ერთი, ის, ვინც სალდათობამდის ნორმალურ ცხოვრებას ატარებდა, სალდათობის დროსაც თავს დაიცავს და, მეორე, რაც უფრო მალე მოესწრებიან მშობლებს შვილები, მით უფრო გაღონიერდება ქონებრივად ოჯახი.

ამავე მოვლენას ვხედავთ საშუალ საზოგადოებაშიაც. ახალგაზდამ რომ გიმნაზიის კურსის დასრულებისათანავე ცოლი შეირთოს, ცოდვად მიგვაჩნია. ჯერ უნივერსიტეტი დაასრულოს და შემდეგ მოეკიდოს ოჯახსო, ვამბობთ. მაგრამ ჩვენი შვილები რომ ოთხისა და ხუთი წლის განმავლობაში არანორმალურ ცხოვრებას ატარებენ და ირყვნებიან, ამას არ დავსდევთ.

მშობლებო! თუ გსურსთ, თქვენი შვილები არ გაირყვნან, ადრე უნდა დაქორწილდნენ.

მეტყვიან: ნაადრევ სიყვარულს ცუდი შედეგი მოსდევსო. მაგრამ, ჯერ ერთი, ვისაც სიყვარულის გემო ერთხელ მაინც უნახავს ის შემდეგ, რაც უნდა შეემთხვეს, არასოდეს თავს უბედურად აღარ ჩასთვლის; მეორე, ამურის ისრით გულის დაკოდვა ახალგაზდობაში უფრო სასიამო და სანეტაროა, ვიდრე შემდეგ; მესამე, ქვეყანა მონასტრად ვერ გადაიქცევა და, უეჭველია, როგორც განქორწინებას, აგრეთვე ხელახალ ქორწინებას მალე კანონიერი დაბრკოლება აღარ ექნება; და მეოთხე, ხალხის ტანმთელობასა და გამრავლებას ყველაფერი სხვერპლად უნდა შეეწიროს.

ჩვენს მწირ საზოგადოებრივ ნიადაგზე უკიდურესმა მიმართულებამ მოიკიდა ფეხი და, ვიცი, ჩემს აღსარებას მეწვრილმანეობად, წვრილი ბურჟუაზიის ზნეობრივ ღირსებულებად, მონათლავენ. მაგრამ წავიდა ის დრო, როდესაც გვეშინოდა, ცუდად არავინ გვახსენოს და არ გაგვლანძღოსო. და, სულ ერთია, ვინც რა უნდა სთქვას: ჩემთვის მხოლოდ სწორუპოვარ სიმართლესა და ჭეშმარიტებას აქვს ფასი და მნიშვნელობა

ვასილ წერეთელი.

---

## თეოფილე ხუსკივაძე.

### (იუბილეს გამო)

„რა კარგია კაი კაცი
კარგი [illegible]“
ხალხური.

რჩეულ ადამიანებს კეთილსაქმეებთან ერთად თანსდევთ არა ჩვეულებრივი გარეგან გამომეტყველებაც შინაგანი უპირატესობის სიდიადე ძლიერ ბეჭედს ასვამს მათ გარეგნობასაც, სიტყვას და პასუხს მათსას.

არ მახსოვს ჩემს სიცოცხლეში წამი, რომ თეოფილე შემომხვდომოდეს სადმე და მას, მის გაშლილს, სიცოცხლით სავსე სახეს, მის მოსწრებულს და მშვენიერს სიტყვა-პასუხს ჩემში არ აღეძრას ნუგეში.

იმედით სავსე, მაღლა მდგომი ყოველივე წვრილმანობაზე შენ კ განუგეშებს, აღგამაღლებს და თითქოს გეუბნებათ: რას დაღვრემილხარ, რას ჩაგიქონდრია თავი, ასე ყოფილა და იქნებაო, ერთი წავა და სხვა მოვა საბაღნაროსაო“, მოგონებას ილიას სიბრძნეს, „ტყუილია სუთქმა უშიო“ და სხვა. „ხანს მაქვს მჭადი და პური, ხან და ხან მშიერიც ვარ, მაგრამ ბედს არ ვემდური, მაინც ბედნიერი ვარ“ ო, მოგაგონებს აკაკის სიტყვებს.

ეს ძვირფასი თვისებები ჩაქსოვილია მრავალ მის ნაწერში, რომელნიც მას შეუქნია ჩვენის მწერლობის გასამდიდრებლათ დაუღალავის თავის მუშაკობის დროს 35 წლის განმავლობაში.

თეოფილესაც, როგორც ყველა ჩვენთაგანს, ბევრი ტანჯვა გამოუვლია ცხოვრებაში, აბა ია—ვარდით მოფენილი ცხოვრება ვის მისცემია? მაგრამ ის ყოჩაღია, არ უდრეკს ქედს არაფერს, იცის კარგი წარსული თავის მრავალ გზის წამებულის მაგრამ მაინც ჯან გაუტეხელის სამშობლოისა და ისიც, როგორც ღირსეული ღვიძლი შვილი თავის დიდებულ წინაპართა, ავსებულია იმედებით მომავალზე და ყოველივე სხვა ამასთან ამაოა მისთვის, როგორც საუკეთესო ჩვენი მწერლებისთვის.

თეოფილე ხუსკივაძე არ ეკუთვნის დაღვრემილთაგანს, მან იცის რაც უნდა მოხდეს ამ ცრუ და გაუტანელ სოფელში, ყოველივე წარმავალია და უმჯობესისაკენ უნდა მივისწრაფოდეთ. ძაძით შემოსვა და მგლოვიარობა ქვეყანას ვერ იხსნის, ისევ ისა სჯობია თავისი სიმტკიცით და იმედიანობით სხვაც დავაიმედოთ და გავამაგროთ, როგორც შოთაც გვირჩევს: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსო და ღმერთი არ გასწირავსა კაცსა შენგან განაწირსაო“ და სხვა.

ასე მედგრად და ხალისიანად, სიკეთით და სამართლით აღჭურვილი დადის ამ ქვეყნათ ჩვენი კეთილ მოსაგონარი მუშაკი თეოფილე.

გულ წრფელად გილოცავ ძვირფასო მეგობარო 35 წლის ნაყოფიერს შენს მოღვაწეობას სამშობლოსთვის, შენ ბედნიერი ხარ მით, რომ სიცოცხლეშივე ისმინე ქება და დიდება შენის ნაშრომისა, გისურვებ, რომ შენი, ცხოვრება ყოფილიყოს ხანგრძლივი, და მარად-ჟამს იმედმოსილი.

დეკ. შ. ც—ლი.

## ცოტა-რამ ქართველ ისრაელთა შესახებ.*)

„არა შეჯდა წყერი ხესა,
არა იყო გვარი მისი“.

არის ბ. დ. ბააზოვი სიონისტი თუ არა, იმაზე ჩვენ წერილი მზადა გვაქვს და ამ ცოტა ხანში გამოვაქვეყნებთ.

გამოვიდა გაზეთ „სამშობლოს“ 429 ნუმერში, რომელშითაც არის ბ. ბააზოვის „პასუხი“ სტუდ. ბ. ი. ხ-შვილის“, გაგძელება ეს გაგრძელება შეიცავს სულ ერთ ნახევარ სვეტს. მისმა წაკითხვამ კი ჩვენ წაგვართვა ერთ საათზე მეტი. წავიკითხავთ წინადადებას და უნდა წამოვდგეთ, გავიარ-გამოვიაროთ, რათა გავერკვიოთ: ვკითხულობთ ქართულ ეროვნულ გაზეთ „სამშობლოს“, თუ ვიმყოფებით სალოცავის სინაგოგას ეზოში და ვისმენთ „დარუშს“, ქადაგებას თეთრ-წვერა მოხუცი რაბინისას?

სასურველია, თუ არ იუკადრისებენ ჩვენი უფრო გავრცელებული გაზეთები, „სახალხო“ და „საქართველო“, გადაბეჭდავდენ ამ „პასუხს“.

რადგან გაზეთს ჩვენ ისე არ უყურებთ, როგორც ონის რაბინი, ამისთვის ამ „გაგრძელებას“ არ გავარჩევთ ისე ვრცლად, როგორც სხვა წერილებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უფრო დაწვრილებით გასცემს პასუხს თვით ამხანაგი ი.

*) ეს წერილი გადმოვბეჭდეთ გაზ. „მეგობრიდან“ (№ 138). უყურადღებოდ ვსტოვებთ პატივცემულ ავტორის შენიშვნებს ჩვენი გაზეთის შესახებ. ბ-ნ ხანანაშვილმა ძალიან კარგად უნდა იცოდეს, რომ ჩვენ მხოლოდ საკითხის გამორკვევა გვაინტერესებს.

რედ.

ხ-შვილი, რომელიც ამ ჟამათ მოსკოვშია.

მოკლედ რომ ვსთქვათ, რაბინმა ერთი ხელის მოქნევით გადასჭრა ჩვენი ეროვნების (?) საკითხი შემდეგი 5 ფაქტორებით: 1) „წმინდა ქვეყნით“ (ერეც აკოდეშა), 2) წმინდა ენით“ (ლაშონ აკოდეში) 3)“წმინდა ხასიათით“ (ზნე-ჩვეულება-მინაგები( 4) „წმინდა თორით“ (ე ი. მისი კულტურით) 5) „სისხლის წმინდათ შენახვით“, მორჩა და გათავდა, არც მეტი არც ნაკლები და ყველა ამას ჰქვიან ჩვენი ეროვნების მეცნიერულად დამტკიცება და გადაწყვეტა“ არ კი იფიქროთ პატიოსანო მკითხველო, რომ აქ ჩვენ რამეს უმატებდეთ, ვაჭარბებდეთ, ან ვაზვიადებდეთ; სრულიადაც არა? აბა გადაიკითხეთ „სამშობლოს“ 429 ნუმერი.

მოვიგონოთ, ამერიკული თქმულება, რომ „დრო-ფულია“ და ძლიერ მოკლედ, ლაკონიურად უპასუხოთ „მეცნიერ“ ხუცეს.

1. სამშობლო ჩვენი „წმინდა ქალაქი“ (ქანაანია), რადგან იქ მივიღეთ სარწმუნოება-ო..

ვსთქვათ, მივიღეთ თუ არა მოსეს რჯული, წამოვედით „წმინდა ქალაქიდან“ და სხვა ქართველებთან ერთად დავსახლდით საქართველოში. მაშინ? მითხარით რას ჰქვია სამშობლო, რა არის სამშობლო?

რა კარგი იქნებოდა, რომ ბ. ბააზოვი, სანამ ოსტრაკიზმი გამოეცხადებოდა მას, პირს იბრუნებდეს ისევე გოშელის იეშიბისაკენ!

2. დედა ენა ჩვენი-წმინდა ენა „ლაშონ აკოდეშია“-ო.

ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო. გუშინ თქვენი მშობლიური ენა ქართული იყო, დღეს კი „ლაშონ აკოდეში“, რომელიც გამეფებული იყო თქვენი და სხვა სიონისტებთან ხომალდით ლონდონისაკენ მოგზაურობის დროს? სხვათა შორის ამ „წმინდა ენაზე“ აკრძალულია უწმაწური სიტყვები და ლანძღვა გინება. ხოო, გვესმის, გვესმის, რისთვის გინდათ გამოიყენოთ ქართული ენა—რომ შებღალოთ და ჩირქი სცხოთ თქვენ მოპირდაპირეს, პატიოსან ამხანაგ ი. ხ-შვილის პიროვნებას!

დღიდან ქართული ენის წარმოშობისა, მას აქეთ 23 საუკუნეა ჩვენ გვრძნობთ ქართულ ენაზე. ეს უკანასკნელი დანარჩენ ქართველებზე არა ნაკლებ ჩვენთვის იყო, არის და იქნება ნამდვილ დედა ენათ და არა როგორც სენიორ ბააზოვი ბრძანებს „სავაჭრო ენათ“. ოცი საუკუნეს წინათ ჩვენი წინაპრების უფრო წმინდა სულის მქონე რაბინები: ლონგინოზ კარსნელი, ელიოზ მცხეთელი, (და მისი დედა სიდონია 1), მცხეთის ისრაელების მღვდელ მთავარი აბიათარი (და მისი ქალიშვილი სიდონია 2) და სხვები თქვენსავით კი არა სთვლიდენ ქართულ ენას მხოლოდ „პოლიტიკურ, თუ ეკონომიურ ენათ-და არც თქვენსავით იყენებდენ მას პოლიტიკური მიზნისათვის, ჩვენში პოლიტიკურ-მიმართულების სიონიზმის გასავრცელებლად.

3) ზნე ჩვეულება, ადათები და წმინდა ხასიათი—ძველი ისრაელების გვაქვს ო. ნეტავი, ქართული პრესა და მკითხველი საზოგადოება ბ. ბააზოვს რაჭის, ან სხვა პროვინციის ჯამაათი ხომ არ ჰგონია, რომ ჯერ გვპირდება „ათას ნაირ ფაქტს“ წამოვაყენებ იმის დასამტკიცებლად, რომ არაფერი იოტის ოდენა განსხვავება არ არსებობს ეროვნულად ჩვენსა და რუს-ამერიკის ებრაელთა შორისო და დღეს-კი გაიძახის: „ათას-ნაირ ზნე-ჩვეულება (შაბათის შენახვა, წინადაცვეთა, დღეში სამჯერ ლოცვა, მარხვები, წვერის გაშვება და სხვადასხვ .:? მ. ხ ·) ჩვენი და სხვა ისრაელების საერთოო. ამოცანა: ათასნაირი ფაქტი—ათასნაირ ზნე-ჩვეულებას?

4 წმინდა „თორა“, ე ი. კულტურა თალმუდის გვაქვსო.

მაშ, ვინც თალმუდს არ იცნობს და მისი კულტურით არ აღზრდილა, ის ისრაელი არ არის?

აქვს რამე გავლენა ევროპის კულტურას ევროპაში მცხოვრებ სხვა და სხვა ხალხზე, ან ქართულს ჩვენზე, თუ არა? რა განსხვავებაა Петръ Джарскій ის („Кутаискія Вѣсти“-დან) და დავით ბააზოვის („სამშობლოდან“) შორის? მხოლოდ ის, რომ პირველი უარყოფდა ქართულ კულტურას საერთოდ ქართველებისთვის, უკანასკნელი-კი ქართველ-ისრაელებთათვის.

5 ) „სისხლის წმინდათ შენახვა“, ანუ ტიპიური სახის შენარჩუნებაო.

დედამიწაზე ყოველივე მოძრაობს, დროს განმავლობაში, ჟამთა ვითარებაში იცვლება, სხვაფერდება; ეს ბუნების კანონი გახლავთ. ფიზიოლოგია გვიმტკიცებს, რომ აწინდელი კაცის ტიპი სხვაა, ვიდრე ძველად.

ჩვენც, ათასწლობით ქართველებთან ერთად ცხოვრებით შეგვცვლია, არამც თუ მარტო ტიპიური სახე, არამედ თუ მეცნიერების გამოკვლევას დაუჯერებთ, თავის ქალაც ნამდვილი ქართული გვაქვს.

რომ გარეგნული შეხედულებითაც ქართველი ისრაელები დიდად განსხვავდებიან რუს-ამერიკის ებრაელებისაგან, ეს ყველასთვის ცხადია, გარდა ჩვენი სიონისტ რაბინისა. მხოლოდ, თუ ჩვენებურმა ისრაელებმა წაბაძეს ბატონ ბააზოვს და იწყეს მისებურად რუსეთის ებრაელების ქალების შერთვა, მაშინ მათ შთამომავლობაზე სხვა უნდა ითქვას...

აი, ასეთია მოკლედ ჩვენი პასუხი სენიორ ხუცესის მიერ წამოყენებულ „ეროვნების“ შემადგენელ ნიშანდობლივ თვისებაზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ რაც უნდა დაბალ დონეზე იდგეს განათლებით გაზ. „სამშობლოს“ 426 ნუმერის წამკითხველი ქართველი ისრაელი, მაინც ეცოდინება მას, თუ რა არის სარწმუნოება და რა 1) სამშობლო, 2) მშობლიური ენა, 3) ზნე-ჩვეულება-ხასიათი (და არა რელიგიური ადათები) 4) კულტურა ცივილიზაცია და 5) ტიპი და აგებულება ადამიანის.

მ. ხანანაშვილი.

# ავადმყოფნი.

მომღიმარე, ფერმკრთალი მთვარე რაღაც გამოურკვეველ ნეტარებით დაღადღადებ-და ქვეყანას ვარსკვლავებით მოჭედილ ციდან. გაყუჩებულ მიდამოს კლდის ნაპრალიდან აღმონახეთქი მთის ცელქის სიო თუ ჩამოუთამაშებდა და მორაკრაკე რუს პირს მდგარ ყვავილთ რაზმთ ღამის ფერიათა ჯადოსნურ ზღაპარს თუ წასჩურჩულებდა საიდუმლოდ...

გრილა. ნედლი თივის სუნი სდგას. მთვარის შუქზედ შარა გზა თეთრი ზოლივით მოსჩანს აულულებ შორის და ფიჭვნარში იკარგება. სათიბიდან დაგვიანებით მომავალი მუშები მოღიღინებენ, წინ საქონელი მოუდით, მხარზე გადებულ ცელებზე მთვარე ალმასებს ლესს აბდღვრიალებს...

ფიჭვნაძვნარა იგარაკი გარინდულა. მოელვარე ნაკადის პირას სამ ბებერ ფიჭვს თავი ერთმანეთისათვის მიუდვიათ და მთვარის ეშხით გაყუჩებულან.

ბებერ ფიჭვებზე უფრო დადუმებულა მათ ქვეშ მდგარი ახალგაზდა ქალი... იგი უსმენს ფანდურის ხმას...

შორს აგარაკში ვიღაცა უკრავს...

სიმნი მძლავრად აკვნესდნენ, ატირდნენ, შეითვისეს, შეილესეს, თვის ჰანგზე ასულის სული და გული და წირიტაცეს შორს, შორს ზღაპრულ ქვეყანაში...

ასულს დაავიწყდა თვისი დავრდომილობა, გაჰყვა სიმთა კვნესას თვის გულის კვნესით სადღაც ვარსკვლავებით მოჭედილ, მოელვარე წიაღში...

მთვარის შუქი მის ტუჩებზე ღიმს ათამაშებდა. იგი სმენად იყო გადაქცეული, გარდაიქცა სმენათ მთელი თვისი არსებით. ცელქი სიოც სადღაც ბუჩქნარებში გაინაბა. რუ აკორდს აჰყვა... სიმნი უფრო აკვნესდნენ, აქვითინდნენ, თითქოს მსოფლიო მწუხარება, მათ შეეთვისნოთ...

კვნესიან, შეღადღადებენ ცას, ზენაართ სამფლობელოს. ტუჩზედ ღიმ მოგდებულ ასულს აქ მოაგონდა, რომ ამ სულის კვეთებას განიცდის ისეთივე ავადმყოფი არსება, როგორათაც თვითონვეა. იგი ასულის გულის მესაიდუმლეა, მოსწონს გაგიჟებით და უარესიცაა... ამ სულის კვეთებას საკრავზედ გამოსთქვამს ავადმყოფის მილეული წვრილი თითები. ის ავადმყოფია, მახინჯია... რათ უკრავს ლამაზად მის არსებაში ხომ სილამაზე არ მოსჩანს? მხოლოდ სიმახინჯე, უძლურება.. სიმახინჯეშიაც ყოფილა კეთილშობლიურ მადლი ნიჭი, სპეტაკი გრძნობა, სილამაზე სულის კვეთება.. მახინჯი, ავადმყოფი, რომელიც გაზაფხულზედ ავტომობილიდან ძლივს გადმოიყვანეს ხელით, მერე... რატომ ისიც არ უნდა იყვეს ჯანსაღი, არა მახინჯი?! განგებამ უშურს... იმას ხომ უფრო მეტი გრძნობა აქვს, მეტი მუსიკოსობა სულის სილამაზე... ეგეპა ეხ ლა იგი გედის სიმღერით თავს აბრალებს მსოფლიოს და შესჩივის მას არა ცრემლებით, არა ქედმოხრილი მის წინაშე, არამედ ჰიმნით, ძლიერის სულით, ტკბილ ნაზ ხმებით...

ასულს გაახსენდა ის რომ მას მემუსიკეს აკრძალული აქვს პროფესორებისაგან საკრავზე დაკვრა, რომ იგი დასასვენებლადაა აქ, რომ იგი ყოველთვის ვერ აიტანს ასეთ ძლიერ გულის განცდას, რომ იგი...

სიმნი უფრო ახმაურდნენ ამუსიკდნე შესტირეს, შეჰკივლეს; შეუსტვინეს მწყობრად, ალტაცებით, მძლავრად და უც ებ შესწყდნენ.,.

აკორდმა სადღაც ჩაიკვნესა...

ჯანღონით სავსე მუშებმა წყაროს პირას ცელები დაჰყარეს გულმკედრ პირი მოიბანეს, გაგრილდნ ენ, გახალისდნენ და გაუდგნენ სახლისაკენ გზას. . ჯაფის შემდეგ დასვენება; ხვალ ისევ მუშაობა...

მზე ამოვა...

* * *

იმ სახლიდან, საიდანაც გუშინ მოისმოდა მემუსიკის წყნარი, მელოდიური ხმები დღეს მოხუც მედავითნის ბუტბუტი გამოისმოდა დასაკმლის სუნი ფიჭვნარის მიდამოს, რაღაც სიკვდილის შიშს უბედურებას აგრძნობინებდა. უიმედო ასული მთის ყვავილებით ხელში თავს ადგა ხელოვნების ქურუმის გაციებულ გვამს და და თვალცრემლიანი დასცქეროდა იმ ყვითელ თითებს, რომლის შუაც თავმოხრილი ია კვნესოდა, რომელიც წინეთ ზენაართ ხმებით . აკვნესებდა უენო საკარავს...

... ჯან ღონით სავსე მუშებმა წყაროს პირას ცელები დაჰყარეს, დღიურის ჯაფით გაოფლილი გულმკერდ პირი მოიბანეს, გაგრილდნენ, გახალისდნენ და გაუდგნენ სახლისაკენ გზას .. ჯაფის შემდეგ დასვენება... ხვალ ისევ, ვმუშაობა...

მზე ამოვა...

მიხ ლომიძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „სამშობლოში“ დაგვიბეჭდოთ შემდეგი.

გაზეთ „ჩვენი მეგობარის“ № 130 დაბეჭდილია წერილი ბ-ნი გ. ოდიშელის, რომელიც დასწრებია ქჴვს მარიობისთვეს ქუთაისში მომხდარ ვაჭართა კრებას. კრების შესახებ იგი არაფერს ბრძანებს, მხოლოდ ნიშანში ამოუღივართ ჩვენ და საზიზღარ ცილის წამებით თავს გვახვევს შემდეგ ბრალდებას: ვითომც ჩვენ, ზემო, აღნიშნულ ვაჭართა კრებაზე ნოქრების სამართლიან მოთხოვნილებების დასასამარებლად წარმოგვედგინოს რაღაც გეგმა და წინა აღვედგომოდეთ უმრავლესობის სურვილს. რადგანაც ბ-ნი გ. ოდიშელს, ჩვენს წინააღმდეგ არა ერთხელ მოუთავსებია ცილის წამებით შეზავებული წერილი საზოგადოების თვალში ჩვენ დასამცირებელად და ჩირქის მოსაცხებად, და რომ მისი ზემოდ მოყვანილი სიტყვები ჩვენ შესახებ ხალხს სიმართლე არ ეგონოს ჩვენ ვიწვევთ ბ-ნს გ. ოდიშელს სამედიატორო სასამართლოში, რომელმაც უნდა გამოარკვიოს რა გეგმა წამოვაყენეთ ნოქართა მოთხოვნილების წინააღმდეგ ზემო აღნიშნულ ვაჭართა კრებაზე და რა ზომები ვიხმარეთ მის დასასამარებლად. იმავე სასამართლომ უნდა გამოარკვიოს რაოდენობა ჩვენი „გასქელებული ჯიბისა“, რაც არა ერთხელ წამოუძახნია ჩვენთვის ბ-ნ ოდიშელს. სასამართლოს მსჯავრი ბ-ნ ოდიშელის წერილისა და ვაჭართა კრებაზე ჩვენი მოქმედების შესახებ გაზეთში უნდა დაიბეჭდოს.

მედიატორებს. დასანიშნავათ გაძლევთ ბ ნო ოდიშელო ერთი კვირის ვადას დღიდან ამ წერილის დასტამბვისა

პატივის ცემით ქუთაისის ვაჭრები: ტ. ბასილაძე, ძმ. ნიკო და ანტონ კიღასონიები

P. S. ეს წერილი გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ რედაქციამ არ დაგვიბეჭდა.

ავტ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 20 „ |


# გამოიცა და იყიდება.

გ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое слово“

ნაწ 1 მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული. შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ფდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდიული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“ თანაგრძობით შეხვდა პრაქტიკის მქონე მასწავლებლები გამოცდის შემდეგ იმ დასკვნამდი მივიდენ, რომ „Новое слово“ თი სწავლებით მოწაფეები არა ჩვეულებრივ ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას. სამოსწავლო ოლქმა, თანახმად ოლქის მზრუნველის დადგენილებისა, ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია. Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народныхъ школъ.

287 5—4.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. უორუოლაძეების სამკურნალო

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# ავი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ დე-ვეზის პრეპარატის საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, მხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გემსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშიფის თავიდან ასაცდენათ პრეპარატი ექ. დევეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში ა. ნ. შავერზაშვილის საკუთარ მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთ კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

9— (წლიური)

# სუსუნაკი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება სუსუნაკის წამლით პირველ ხარისხოვანი „გონოზანით“. ეს წამლით სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნაკს. საშუალება ნაცადია თბილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნაკის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია: თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უებარი საშუალებაა ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზე და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შემხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4მან და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს 9 მანეთი. სხვა ქალაქებში გაიზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ. მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ, თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12, მახლობ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოის ქუჩის. Р. Шмитъ, Тифлисъ Цхинвальская ул. № 12, отд. 1 5—2